საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9096/01
26/08/2021

9096-01-2-202108261115

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N19

თქვენი 2021 წლის 30 ივლისის N13561 წერილით წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთში 110 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ელექტროგადამცემი ხაზი „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანება) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბერს გაცემული N79 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N 2-900) მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ სურათის - 5.3 და საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სქემის შეფასებით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი სავარაუდოდ კვეთს არსებულ ავტოგასამართ სადგურს, აღსანიშნავია რომ აღნიშნულ მონაკვეთზე ხდება ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ცვლილება, რაც ეწინააღმდეგება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე და სამრეწველო ობიექტებამდე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საპროექტო ანძებიდან უახლოესი მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე, დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის განაპირა სადენებიდან უახლოესი მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე და სამრეწველო ობიექტებამდე, შესაბამის სიტუაციურ სქემაზე დატანით;
- საპროექტო დერეფნის ნაწილი გადის დასახლებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლებისა და კერძო მიწის ნაკვეთებზე, აღნიშნულიდან გამომდინარე როგორც მოწყობის ისე ოპერირების ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოების

განხორციელებისთვის საჭირო იქნება კერძო საკუთრებით სარგებლობა, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს, საპროექტო დერეფნის ფარგლებში მოქცეული კერძო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთების მფლობელებთან კომუნიკაციის ამსახველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში შეთანხმების) დოკუმენტი; ამასთან ზემოაღნიშნული კერძო საკუთრებებიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მოწყობის ეტაპზე საპროექტო ანძებამდე მისასვლელად გათვალისწინებული გზების (ტერიტორიების) გამოყენებისა და შესაბამისი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სქემა და shp ფაილები;

- გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის shape ფაილები, რომელშიც წარმოდგენილია მხოლოდ ქვესადგურ „მენჯი - 220“-ის ქვესადგურ „ფოთი 4“-თან დამაკავშირებელი არსებული ეგხ-ის ხაზოვანი ფენა. გზშ-ის ანგარიშს თან არ ერთვის სარეკონსტრუქციო, გასაორჯაჭვიანებელი და გასაუქმებელი საყრდენების (N149ა-N165) წერტილოვანი და ეგხ-ის დერეფნის ხაზოვანი ფენა. ასევე არ არის წარმოდგენილი ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტების შესაბამისი shp ფაილები.
- გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილი პროექტის თანახმად ელექტროგადამცემი ხაზის საწყის მონაკვეთზე დაგეგმილია ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ცვლილება, არსებული ძველი საყრდენების და სადენების შეცვლა ახლით, ასევე დაგეგმილია საპროექტო მონაკვეთის გაორჯაჭვიანება, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმების დაცვის შესახებ ინფორმაცია;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე